

ინტელექტუალური ოფიციალური

შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
განათლებისა და მეცნიერებათა ფაკულტეტი

თსუ არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ლექსიკოგრაფიული ცენტრი

შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი

II საერთაშორისო სიმპოზიუმი ლექსიკოგრაფიაში

ბათუმი

2012

© "იმედიონი", აბოშენი

ISBN 978-9941-10-188-2

Commission for "The Knight in the Panther's Skin". It will result in *Materials for a Documentary Dictionary of the Georgian Language*, in which the complete and chronologically arranged Georgian vocabulary from the Georgian literary monuments (containing all attested word-forms) with textual illustrative material will be presented.

At the moment, the primary task is, on the one hand, to carry out the computer processing of the lexical stock established by the *Commission*, and on the other hand, to prepare the digitalized textual database and to create the relevant lexical stock.

Two main issues are related to the compilation of the *Thesaurus*:

1. Preparation of the reliable textual database;
2. Formulation of appropriate lexicographic principles – as far as the entire system of inflexional, derivational and lexico-semantic relations is closely connected with the *Thesaurus*.

A dictionary entry (lemma) of the *Thesaurus of Georgian* is presented as: Nominative case form (case marker is separated off) – for nouns; Masdar (gerund) – for verbs; the third person present tense form (person marker is separated off) – for irregular verbs. Lemmas are provided with some classification indices. The root of the verb is presented as an additional index of the verbal lemmas.

The dictionary entries of the *Thesaurus of the Georgian Language* will be arranged in alphabetic order, each of them being provided with all of its attested word-forms together with illustrative contexts; the word-forms themselves will be arranged according to alphabet in the "nest" for each dictionary entry; as for illustrative material from the dated manuscripts and published texts, they will be arranged chronologically; thus we will be able to define more exactly the date of the first appearance of a certain word in Georgian and to establish the way of its historical development.

Besides, in the *Thesaurus* a word-form will be given in the form it is met in respective original manuscripts, preserving the *abbreviations* and *spelling specificities*.

„ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ ელექტრონული ვერსია

ავთანდილ არაბული, რატი სხირტლაძე, ლევან ვაშაკიძე
თსუ არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი
ელფოსტა: arab.av@gmail.com

პ რ ე ზ ე ნ ტ ა ც ი ა

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, რომლის ძირითადი დანიშნულება, ბუნებრივია, ენაში არსებული ნაირგვარი ლექსიკის აღწერა და მოწესრიგებაა, საკმაოდ რთული სისტემაა როგორც წმინდად ლექსიკოლოგიური, ისე გრამატიკული და სტილისტიკური საკლასიფიკაციო მოთხოვნების თვალსაზრისით. ქველის ყოველ ტომს ახლავს კვალიფიკაციათა ვრცელი ნუსხა, ანბანზე დალაგებულ შემოკლებათა სახით, რომელიც გთავაზობს იმ საკლასიფიკაციო მარკერებს, რაც ლექსიკონში მრავალფეროვანი ლექსიკური მასალისა და მნიშვნელობათა მოწესრიგების შესაძლებლობას იძლევა.

დღეისათვის, როდესაც, ერთი მხრივ, მიმდინარეობს ქველის ახალი რედაქციის დამუშავება, ხოლო მეორე მხრივ, ლექსიკონთა ხელმისაწვდომობა (ოპერატიულობის მიზნით) ერთ-ერთი მთავარი პრობლემაა, აუცილებელი გახდა ამ სალექსიკონო კორპუსის ელექტრონული სახით არსებობა. ქველის ელექტრონული ვერსიის მიზანია, სრულად ასახოს შესაბამისი ლექსიკური მონაცემები და მაქსიმალურად მოიცვას ის სისტემური (საკლასიფიკაციო) მახასიათებლები, რომელთაც ეფუძნება რვატომეულში წარმოდგენილი სალექსიკონო და ტექსტური ბაზა – როგორც ერთი მთლიანი ლექსიკონი.

Electronic Version of the Explanatory Dictionary of the Georgian Language

Avtandil Arabuli, Rati Skhirtladze, Levan Vashakidze

Arn. Chikobava Institute of Linguistics at TSU

e-mail: arab.av@gmail.com

Presentation

The Explanatory Dictionary of the Georgian Language, whose main purpose is, naturally, to make an inventory of and to arrange according to a certain order the vocabulary of various kinds existing in the language, constitutes a rather complicated system both from purely lexicological and grammatical points of view. Each volume of EDGL is supplied with the inclusive list of labels in the form of alphabetically arranged abbreviations presenting the classification markers which make it possible to properly arrange various data and meanings included in the dictionary.

Nowadays, when the work on a new edition of the EDGL is underway and the accessibility (operative adequacy) of dictionaries is a major issue, it has become necessary to ensure the existence of this dictionary corpus in an electronic form. The purpose of the electronic version of the EDGL is to fully depict relevant lexical data and to the maximum degree possible to comprise those systemic (classificational) characteristics which serve as the foundation for the eight volumes of the EDGL as a whole.

აზერბაიჯანული მეხალიჩეობის ტერმინების წარსული და აწმყო

ხადიჯა ასადოვა

აზერბაიჯანის ხელოვნების ნაციონალური მუზეუმი

ელფოსტა: xadijaasadova@yahoo.com

აზერბაიჯანული ხალიჩის ხელოვნება, რომელიც ჩვენს წელთაღრიცხვამდე მეორე ათასწლეულიდან ვითარდებოდა, იძლევა მნიშვნელოვან ბაზას მისი განვითარების ესთეტიკური, გენეტიკური და ლინგვისტური ასპექტების შესასწავლად. ამგვარად, როდესაც ლინგვისტური პოზიციიდან შევისწავლით მეხალიჩეობის ტერმინებს, გავრცელებულს თურქული ჯგუფის აზერბაიჯანელების განსახლების ტერიტორიაზე, ისინი შეიძლება დავყოთ განვითარების სამი სტადიის მიხედვით: არქაული, საშუალო და თანამედროვე.

არქაული სიტყვები გამოვლენილია ძველ ხელნაწერებში, მაგ., მაჰმუდ კაშგარის შრომაში "ლიუგეტი თურქების დივანი", რომელიც გვაწვდის ინფორმაციას ხალიჩების ქსოვისას გამოყენებული მასალების, ქსოვილთა სახელწოდებებისა და ტიპების შესახებ; სადიგ ბეი აფშარის წიგნი "განუნ ას სოვარ", სადაც მითითებულია ტერმინები: აზრ ("ღრუბელი"), გოლფარანგ ("ვარდი"), ისლიმი და სხვ. წიგნები ლიტერატურის კლასიკოსებისა - ნიზამის, ხაყანისა და სხვათა პირველ რიგში, იმის გამო, რომ არაერთი იქ დასახელებული ტერმინი ადარ გამოიყენება; მაგ., ნოხის სახელწოდება შირვანში ტახტამუჯა. არქაულ ტერმინებს შორის ბევრია სპარსული და არაბული სიტყვები. ასევე ბევრია ტერმინი, გაჩენილი საშუალო პერიოდში; მაგ, კენარე, ფაიანდაზ-აი აგლიგ, მიიანე-ორტალიგ და სხვ. ამ პერიოდში ასევე გაჩნდა არაერთი რთულფუძიანი ტერმინი: მეხალიჩეობის ახალ ლექსიკაში შეგვხვდება მარტივი და რთული სიტყვები. ასევე გამოიყენებ ტერმინები, რომლებიც მომდინარეობს ლათინური და სხვა ენებიდან.

ტერმინების ეტიმოლოგიური ასპექტით შესწავლა საშუალებას გვაძლევს ჩავწვდეთ ენი სიმდიდრეს, მის სიძველეს, დავიწყებულ ძველ სიტყვებსა და მნიშვნელობებს.

გამომცემლობა „მერიდიანი“
თბილისი, აღ. ყაზბეგის გამზ. 47, ტელ.: 239 15 22
e-mail: davideku1@mail.ru

